

მდინარე ძირულას აუზის გეოდინამიკა

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეხება მდ. ძირულას აუზის გეოდინამიკას. ნაშრომში განხილულია მდინარე ძირულას აუზში ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული ოროგრაფიული ერთეულები, მათი მორფოლოგიური-მორფომეტრიული მახასიათებლების, გენეზისის და სხვა თავისებურებების მიხედვით. საუბარია ეგზოგენური და ენდოგენური პროცესების მათი გავრცელებისა და ინტენსივობის შესახებ.

კვლევის მთავარი მიზანია თუ რა საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას გეოდინამიკურმა პროცესებმა და რა საშიშროების წინაშეა იგი და ასევე რომელიც, აქ ოდითგანვე მასზე გადიოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვეყნის შემაერთებელი დიდი სავაჭრო გზა და ამჟამად იკავებს ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს “TRASECA”-ს სივრცეში, მასზე გადის ქვეყნის საავტომობილო და სარკინიგზო გზების ცენტრალური კვანძები, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის დასავლეთის მიმართულების ბაქო-სუფსის ნავთობსადენი. კვლევის მთავარ ობიექტს წარმოადგენს მდ. ძირულას აუზის გეოდინამიკური პროცესები და მათზე მოქმედი ბუნებრივ ანთროპოგენური ფაქტორების განხილვა შესწავლა, ვინაიდან უკვე ყველა თანხმდება იმ აზრს, რომ რელიეფის ჩამოყალიბებაში და გარდაქმნაში ძლიერ უცვლის სახეს თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები.

თემის დამუშავების პროცესში გამოვიყენე პირადი დაკვირვების მასალები და ვიხელმძღვანელე რეგიონის შესახებ არსებული ლიტერატურული წყაროებით. ნაშრომს თან ერთვის ჩემს მიერ შესრულებული რუკები და ფოტოსურათები. რაც შეეხება თემის თეორიულ ნაწილს მისი დამუშავება მოხერხდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის და კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის კათედრის და თემის ხელმძღვანელის აქტიური დახმავებით, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

Geodynamic of The pool of river Dzirula

Abstract

The present work deals with the geodynamics of Dzirula river basin. The paper discusses the orographic units within the territory of Dzirula river basin, according to their morphological-morphometric characteristics, genesis and other properties. We are talking about the exogenous and endogenous processes, their distribution and intensity.

The main purpose of the paper is to determine the dangers posed to the population by geodynamic processes and there has always been great trade route connecting the East-West of the county and now it still occupies a central place in the space of "TRASECA", central road and railway junctions of the country and as well as western route Baku-Supsa pipeline of international importance run through it. The main object of the research is geodynamic processes of Dzirula river basin and review and study of natural anthropogenic factors affecting them, Since it has been agreed that the current geodynamic processes shape the face in the formation and transformation of the relief.

While working on the thesis I used my personal observation materials and I was guided by the literary sources existing about the region. The paper is attached by maps and photographs performed by me.

As for the theoretical part of the work, it is designed with active assistance of the Department of Geomorphology-Geoecology and Cartography-Geoinformatics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Thesis supervisor, for that I thank them.